წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | ოთხშაბათი, 9 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით დირს 15 ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 480 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, — № 480

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზომოთ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: ქმარი, გუბერნსკი სეკრეტარი ზაქარია (იგივე ჭიჭიკო) გრიგოლის ძე ვარდანაშვილი, შვილი მისი შალვა, ძმები გარდაცვალებულისა ივანე და შტაბ-როტმისტრი იოსებ ალექსის ძენი ბაბუნაშვილები მეუღლეებითურთ, მაზლები ილია და დავით გრიგოლის ძენი და მული თამარა გრიგოლის ასული ვარდანაშვილები, სიძეები ნადვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ როსტომის ძე მაღრაძე, ალექსანდრე ივანეს ძე მაკრიაკოვი, ივანე ივანეს ძე ველიჩკო მეუღლეებითურთ, დედ(ა)ს და პელაგია გრიგოლის ასული ჯანელიძისა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს

## ანასტასია ალექსი ბაბუნაშვილის ასულის ვარდანაშვილისას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 10 ამ ნოემბერს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 5 საათზე ორპირის ქუჩის შესახვევში, გორაზედ, საკუთარ სახლებში.

---

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 7 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა:

## პირველი ღამის უფლებისათვის

ძარღვების ამშლელი დრამა 3 ნაწილად ხოხლოვისა, წერეთლისა, ვიზაროვისა და დიმიტრიევის მონაწილეობით.

მიმდინარე ამბები — **ქრონიკა გომონი** — მიმდინარე ამბები

## სამაგალითო ცოლი

მარიკო პრაგას კომედიის მიხედვით 3 დიდ ნაწილად, სამხატვრო თეატრის მსახობ ქალის მ. ქდანოვას მონაწილეობით.

**ანონსი**: ხუთშაბათიდან, 10 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**ქრონიკა გომონი**

მიმდინარე ამბები.

**წარსულის აჩრდილი** (ბრაგის სერენადა). დრამა 4 ნაწ. პანოვისა რიმსკის, ლისენკოსა და ორლოვას მონაწ.

**უნდა დავქორწინდე** სახუმარო. ფერადებიანი, პრენსის მონაწ.

---

**დაიბეჭდა** ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „**მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო**" პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. კ. ციფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ფუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** ი. ჩარექიშვილი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს გავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ფუვარებს და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოქიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თვ.

ჩ-8

---

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 7 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა

## პირველი ღამის უფლებისათვის

ძარღვების ამშლელი დრამა 3 ნაწილად ხოხლოვისა, წერეთლისა, ვიზაროვისა და დიმიტრიევის მონაწილეობით.

მიმდინარე ამბები — **ქრონიკა გომონი** — მიმდინარე ამბები

## სამაგალითო ცოლი

მარკო პრაგის კომედიის მიხედვით 3 დიდ ნაწილად, სამხატვრო თეატრის მსახიობ ქალის მ. ქდანოვას მონაწილეობით.

**ანონსი**: ხუთშაბათიდან, 10 ნოემბრიდან:

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

**ტ ა ს ო** დრამა 6 ნაწ. გზოვსკაიასა, ჰანოვისა, რუტკოვსკაიასა და სხვათა მონაწილეობით.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.**

6 ნოემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი მთელ ბრძოლის ხაზზე მზვერავთა მოქმედება და სროლაა. ტყიან კარპატებში, შიბენის სამხრეთ მიდამოებში, მტერი გვიტევს, ადგილ-ადგილ უკანაც დაგვახევინა, მაგრამ სამაგიერო იერიშით უკუვაგდეთ და წინანდელი მდგომარეობა აღვადგინეთ. თოვს. გზები გაფუჭდა.

**კავკასიის ასპარეზი,** სულტანაბადის მიდამოებში ოსმალების შემოტევა სრიალით მოვიგერიეთ.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიაში, მდ ალიუტისა და ჟიუს ველებში მოპირდაპირე დაჟინებით იერიშებს განაგრძნობს.

დუნაის ასპარეზზე ჩვენი მოწინავე რაზმები სამხრეთისაკენ წინ იწევენ.

7 ნოემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიაში, მდ. ჟიუს და ალიუტის ველებში, მოპირდაპირემ ძლიერის ძალებით შეუტია რუმინელებს და ცოტა უკან დაახევინა სამხრეთისაკენ. მდ. ტირგულუის ველში რუმინელებმა შეუტიეს და მაღლობების მთელი რიგი დაიჭირეს.

დუნაის ასპარეზზე არსებითი, არაფერი მომხდარი.

6 ნოემბერი

**პარიზი.** სწრაფი ოფიც. ცნობა. მოკავშირეთა აღმოსავლეთის ჯარი დილით ქალაქ მონასტირში შევიდნენ.

**ათინა.** გენერალმა სარაილმა ნეიტრალი ხაზი გაავლო ლიაკოვიკიდან მოლიტის ჩრდილო ქედების გასწვრივ. აქედან ხაზი სამხრეთისაკენ უხვევს და გსევიჩიდან ლიტორის სამხრეთით თავდება. სარაილმა განკარგულება მოახდინა, რომ ეს ხაზი ჯარმა დაიჭიროს.

საბერძნეთის მთავრობამ გენ. სარაილს 50 ვაგონი დაუთმო.

გერმანეთმა უარი განაცხადა გენერალ ხაჯოპულის მეცხოვნე ჯარის სამშობლოში დაბრუნებაზე. ეს ჯარი გერმანეთში იმყოფება და ომის დასრულებამდე იქვე დარჩებაო.

**ციურიხი**. ავსტრიის მიერ დაპყრობილ ოლქების ოფიციალ გაზეთში 9 ღვინობისთვის თარიღით დაბეჭდილია: ყველა თემებში გამოიკვრება სიები იმ მოხალისეთა ჩასაწერად, რომელთა წლოვანება 18—45 უდრის, აფიცრებს 50 წლამდე გაიყვანენ. მოხალისეთაგან შეადგენენ ქვეითა ჯარს ტყვიისმტყორცნელებისა, ცხენოსანს, საბარგო და სასანიტარო რაზმებს. პოლონეთის ჯარს გერმანეთის ჯარისკაცთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა დაეკისრა. მათს ბაირახზე გამოსახული იქნება თეთრი არწივი წითელ დროშაზე.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა 3 ნოემბერსა ჩრდილო და ჩრდილო დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთის საზღვარზე მტერმა რამდენჯერმე უშედეგო იერიში მოიტანა ხელთ ვიგდეთ 90 ტყვე და 2 ტყვიისმფრქვეველი მუნტენის ჩრდილოეთ მიჯნებიდან პრახოვოს ველამდე უმნიშვნელო შეჯახება და ზარბაზნების სროლაა დრაგოსლავლის მიდამოებში მოპირდაპირემ მედგრად შემოუტია, მაგრამ უნაყოფოდ. მდ. ალიუტას ველში ცხარე ბრძოლაა. მდ. ჟიოს მიდამოებში მდინარის მარჯვენა ნაპირას ჩვენი სანგრები შევინარჩუნეთ. მდ. ალიუტის მარცხენა ნაპირას ჩვენმა ჯარმა არფუიუს და რადაცინეშტისაკენ დაიხია. კარგუწიუსა და კარბეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოპაციოზის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია. ტარგუჟიუს სამხრეთით და მდ. წრნის ველში მზვერავთა შეჯახება და ზარაზნების სუსტი სროლაა. დუნაის ნაპირზე ზარბაზნების და თოფების სროლაა. დობრუჯაში ცვლილება არ მომხდარა.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიციალი ცნობა 4 ნოემბრისა. გუშინ მოლდავიის საზღვრებზე დაწყებული მოქმედება უამინდობის გამო, შევაჩერეთ. პრახოვოს ველში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა და ქვეითა ჯარის მედგარი ბრძოლაა, განსაკუთრებით მდინარის მარცხენა ნაპირას. მტერი მოვიგერიეთ და ჩვენი ადგილები შევინარჩუნეთ. დრაგოსლავლის მიდამოებში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა, ადგილ ადგილ ხიშტებით ბრძოლაა. მტერი დიდის ზარალით მოვიგერიეთ. მდ. ალიუტის ველში მოპირდაპირემ ძლიერის ძალებით განაახლა შემოტევა და ჩვენი ჯარი იძულებულ ჰყო ცოტა უკან დაეხია ენციულეშტისაკენ. ჟიუს ველში ჩვენ ცოტათი უკან დავიწიეთ სტეფანეშტისაკენ. ცრნის ველში ზარბაზნების სუსტი სროლაა. ჩვენი ზარბაზნები მედგრად უშენდნენ ყუმბარებს ბაიბუტს და რუშჩუკს. დობრუჯაში ცვლილება არ მომხდარა.

**სოლუნი.** სერბიელების ოფ. ცნობა. ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა იერიშით აიღო მაღლობი „1212". მოპირდაპირემ ჩრდილოეთით დაიხია და ადგილობრივ დასტოვა ბევრი ტყვიისმრქვეველი, თოფი, სამხედრო მასალა, სურსათი და 50 ხელის ყუმბარა.

**ლონდონი** საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელების 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, ხოლო გერმანელების ხაზზე 2. ჩვენ 3 საფრენი დაგვაკლდა.

**კოპენჰაგენი.** „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი იტყობინება: პოლონელმა ჯარისკაცებმა უნდა დაიფიცონ ჯერ პოლონეთის ერთგულებაზე, მერე უნდა შეჰფიცონ ვილჰელმს, როგორც მთავარსარდალს და ბოლოს ვილჰელმსა და ფრანც-იოსებს, როგორც პოლონეთის სახელმწიფოს მოსარჩლეთ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ბერლინის ერთ გაზეთში სოციალ-დემოკრატი ლეიმპეტერსი გერმანიის საგარეო პოლიტიკის თავისიანების დამოკიდებულებას არკვევს და სწერს: „სოციალ-დემოკრატთა" ერთმა ჯგუფმა შეადგინა ცნობილი „საზავო პეტიცია" და ამიტომ ყველას ჰგონია, რომ საერთოდ სოციალდემოკრატები წინააღმდეგნი იყვნენ ანექსიისა. მე ყოველდღე მიხდება სოციალდემოკრატებთან საუბარი და დავრწმუნდი, რომ უკიდურესი სოციალდემოკრატებიც და მათ შორის ლიბკნეხტის მახლობელი თანამოაზრეებიც კი საჭიროდ სცნობენ ბელგიის შემოერთებას. დაპყრობილ ქვეყნების საკითხი, რომ სოციალდემოკრატებზე იყოს დამოკიდებული, მე დარწმუნებული ვარ სოციალდემოკრატთა 90 პროცენტი ანექსიის მომხრენი გამოდგებიან. ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მარქსისტები კი იძახიან თურმე, დაპყრობილი ქვეყნები უეჭველად უნდა შემოვიერთოთ, თუნდაც ეს მარქსის მოძღვრებას არსებითად ეწინააღმდეგებოდესო.

— —

„ზაკ. რეჩ." ლონდონიდან ცნობა მიუღია, რომ ქვედა პალატაში, დეპუტატი ბრუსი მთავრობას შეჰკითხებია; მართალია, თუ არა ხმა, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება ყოფილა და კონსტანტინეპოლი და აზიის ზღვის მხარის ნაწილი რუსეთისვის ურგუნებიათო. ამაზე ბონარ-ლოუს უპასუხნია, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა ნება არ გვაქვს ამგვარ შეკითხვაზე პასუხი გავცეთო

— —

„ზაკავ. სლ." სიტყვით ბერლინიდან კოპენჰაგენში ცნობა მოსულა, რომ რუსეთის პოლონეთში გერმანია მოხალისე ჯარს კრიფავსო და ბევრი ჩაეწერაო. პირველად ქვეითა ჯარი შედგება ტყვიის ფრქვეველებითო და შემდეგ ცხენოსნებიო. პოლონელთა ჯარი გერმანიის ჯარში იქნება ჩარიცხულიო.

— —

იმავე გაზეთში „ფრანკ ცეით" ს ცნობებია მოყვანილი, რომ პოლონელთა ჯარს პრუსიის ინსტრუქტორები ეყოლებათ დანიშნული.

— —

„ბერლინ. ტიდენ". შეუტყვია, რომ გერმანიამ და ავსტრიამ დობრუჯა ბოლგარიას უნდა უთავაზონო.

— —

ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ იქ მატარებელში ზურგზე ხელებ გაკრული ბელგიელი ქალები შეუნიშნავთ. ბელგიიდან ბევრი მუშები გადიყვანეს გერმანიაში. ამ მუშების ცოლებმა მთავრობის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადესო, ამის

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** სხვადა სხვა ნაწილში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**კავკასიის ასპარეზი.** არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.** საყურადღებო იყო ჰაერში ბრძოლა; გერმანელებმა დაჰკარგეს 5 საფრენი, ხოლო ინგლისელებმა—3.

**იტალიის ასპარეზი.** მცირე შეტაკებანი ხდება.

**რუმინიის ასპარეზი.** ვალახიაში გენ. ფალკენჰაინის ჯარი შეტევას განაგრძობს. დამდ. ჟიუსა და ალიუტას ველებზე რუმინელებს უკან დაახევინეს. სამაგიეროდ მდ. ტირგულუის ველზე რუმინელებმა წინ წაიწიეს. დუნაიზე და დობრუჯაში სიწყნარეა.

**მაკედონიის ასპარეზი.** სერბიელთა ბრძოლის ხაზზე საყურადღებო ამბავი მოხდა მოკავშირეები ქ. მონასტერში შევიდნენ და ბულგარელებმა ჩრდილოეთისაკე დაიხიეს.

გამო დამნაშავე ქალებს სამუდამოთ ასახლებენ გერმანიაში.

———

„კავკაზ. სლ“. მოთავსებულია, რომ ბოლგარიას დობრუჯის, კონსტანცის, ჩერნოვოდის და მანგალოს შემოერთება გამოუცხადებია. ოსმალეთისათვის დასაკმაყოფილებლად პირობა მიუციათ, რომ შენ ფრაკიის საზღვრებზე მიიღებ მიწა-წყალსო

———

„უტრო როს“. სიტყვით ამ მოკლე ხანში გერმანიის მთავრობა პოლონეთის შესახებ ახალ საინტერესო სიგელს გამოაქვეყნებსო.

———

ურმიაში 4 ნოემბერს დიდი მთავარი ბარის ვლადიმიროვიჩი ჩასულა. ხალხი, ქრისტიანიც და მუსულმანიც სიხარულით მიეგებია ქალაქის ახლოს გუბერნატორს კარავი გაუშლია, აქ მის უმაღლესობას ნესტორიანთა მიტროპოლიტას მარნახი შუს მეთაურობით და ეპისკოპოზების თან დისწრებით ასირელთა კომიტეტი მიუღია. ხალხი მას პურ-მარილით შეგებებია ქალაქი გაუჩაღებიათ; ქუჩებში სადღესასწაულო გუმბათები შეუკრავთ როდესაც სასულიერო მისიაში ლოცვა-მიღება გაუთავებიათ, მათი უმაღლესობა მუსულმანთა მეჩეთში მისულა, სადაც უმფროს სასულიერო პირთ ლოცვა-კურთხევა გადუხდიათ.

———

ბოლო დროს გერმანელთა წყალქვეშების მოქმედება ერთობ გაძლიერდა ატლანტიის ოკეანეში. ხშირად როდესაც გერმანული წყალქვეშა მოკავშირეთა სავაჭრო გემს ღუპავს, ამერიკის ახლო მყოფი სამხედრო გემები გაეცლებიან ხოლმე განს, იმის მაგივრად, რომ სავაჭრო გემი წყალქვეშას თავ დასხმისაგან დაიხსნას. „ავტობლადეტის ცნობით ამის გამო მოკავშირეთა პრესის წარმომადგენელი ამერიკის ერთ ფრიად გავლენიან სამხედრო პირს შეჰკითხებია, რად იქცევიან ასე ამერიკელ სამხედრო გემების უფროსებიო. სამხედრო პირს უპასუხნია: ამერიკის სამხედრო გემები, რომ ჩაერიჯნენ საქმეში და წყალქვეშებს ხელი შეუშალონ მათ მოქმედებაში—ეს უკანონობა იქნებოდა, ვინაიდგან ამერიკის სამხედრო ფლოტი მხოლოდ ამერიკის ინტერესების დასაცავად არის დაარსებული და არა მოკავშირეთა გამოქომაგებისათვის.

### ბალტიის ზღვაში.

როგორც უმაღლეს მთავარსადლის შტაბმა თავის დროზე გადმოგვცა, 28 ღვინობისთვეს გერმანელების სწრაფ მავალი ნაღმოსნები ნისლიან ღამეს შემოიპარენ ბალტიის ზღვაში, სახელდობრ ფინის ყურეში.

ამ თავდასხმის თაობაზე „დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი ს. დიმიტრიევი სწერს: ოფიციალ ცნობები ხანდახან თუ გადმოგვცემს ბალტიის ზღვაზე სამხედრო მოქმედების ამბავს. ამ მოკლე ცნობებით ვტყობილობთ, თუ რა გამოუდეგბულ ფხიზელ დარაჯობას ეწევიან ჩვენი გემები ბალტიის ზღვაში მტრის გაცილებით უფრო ძლიერი ფლოტის სათვალთვალოდ.

ეს გაბედული თავდასხმა გერმანელებმა მოახდინეს მხოლოდ ეფექტის მოსახდენად, მათ არც დაზვერა ჰქონიათ მიზნად, არც ნამდვილი ბრძოლა, რადგან ასეთი შემადგენლობით საბრძოლველად არ გადიან ხოლმე.

გერმანელების ნაღმოსნები საგანგებო მიზნისათვის არის შეწყობილი. მათი დანიშნულებაა, სისწრაფე, გამძლეობა და ნაღმების სროლა. მოკავშირეთა ნაღმოსნებთან შედარებით ზარბაზნებიც ნაკლები აქვს. ომის წინედ ასეთი ნაღმოსნები შეიარაღებული ჰქონდათ 88 მილიმეტრ ყალიბრის ორ-ორი ტყვიის მფრქვეულით. ნაღმოსნებს მშვიდობიანობის დროს ნაღმების ჩაწყობისა და ნაღმების სროლაში ავარჯიშებენ. ამ დარგში უეჭველია ყველა ფლოტს გადააჭარბეს. გერმანულს ნაღმოსნებს, ბაქანი სრულებით ცარიელი აქვს, პროფილი ნაკლები, რადგანაც ვიწროა და მძიმე ტვირთით არ არის დამძიმებული, მეტად სწრაფი მავალია, ამ ნაღმოსნებს ნაღმების გარდა სხვა არავითარი დიდი იარაღი არ გააჩნია მტრის სავნებად.

ბალტიის ზღვაში შემოჭრილის დროს მათი მიზანი დაზვერვა რომ ყოფილიყო, ნაღმოსნებს უსათუოდ თანახლდებოდა პატარა კრეისერები, ურომლისოდაც გერმანელები ნაღმოსნებს არსად ისტუმრებენ. ამისათვის საფიქრებელია, რომ ეს იყო მხოლოდ „გამონავარდება“ გერმანელების ნაღმოსნებისა ეფექტის მოსახდენად. შეიძლება იმედი ჰქონდათ, რომ შემთხვევით შეეჯახებოდნენ რომელიმე ჩვენს მებრძოლ გემს... გერმანელები ნაღმოსანს ისე უყურებენ, როგორც მანქანას, ან უბრალო ყუმბარას, ესკადრების შებმის დროს ნაღმოსნებს ისე იმეტებენ გერმანელები, როგორც უბრალო ყუმბარას, ხშირად ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მიზნისათვის, თუნდაც გამარჯვების იმედიც არა ჰქონდეთ, ოღონდ კი დრო მოიგონ რომელიმე მებრძოლი გემის ასამოქმედებლად.

ამისათვის ვფიქრობთ, რომ ფინის ყურეში მათი ნაღმოსნების შემოპარვა „ნისლიან ღამეში“ ერთგვარ ეფექტის მოსახდენად იყო მოწყობილი.

მთავრობის ცნობებიც ხომ ამას ადასტურებს: „ხშირი ნისლის გამო დროზე ვერ შევამჩნიეთ და მათი სისწრაფის გამო ვერ წამოვეწიეთო...“ ეს ნაღმოსნები, ოფიც. ცნობით, 36 კვანძიანი იყვნენ ესე იგი საათში გადიოდნენ 60 ვერსს. რამდენი ასეთი ნაღმოსნები აქვთ გერმანელებს, არ ვიცით, რადგანაც ეს ნაღმოსნები ომის ხანაშია დამზადებული, რამდენი გემი შემოიპრა ფინის ყურეში? გერმანელები-სამოქმედოთ ისტუმრებენ ხოლმე ფლოტილიას ან ნახევარ ფლოტილიას. ფლოტიაში 11 ნაღმოსანია...

### კანცლერის სიტყვა.

რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისის სხდომაზე 27 ღვინობისთვეს, იმპერიის კანცლერმა ბეტმან ჰოლვეგმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

უცხოეთის ბეჭდვითი სიტყვის კავშირის ბანკეტზე გრეიმ განაცხადა: „მართალი რომ იყოს, ვითომც გერმანეთს სხვებმა მოახვიეს თავზე ომი, მაშინ სრულიად ლოღიკური იქნებოდა გერმანეთს მოეთხოვა გარანტია მერმისში ასეთი თავდასხმის ასაცილებლად“. ამის პასუხად უნდა გავიმეორო რაც კვლავაც მითქვამს: აქტი, რომელმაც ომი აუცილებელი გახადა, გახლდათ რუსეთის მიერ გაცემული ბრძანება საყოველთაო მობილიზაციისა, რომელიც 1914 წ. 18 მკათათვეს ღამე გამოიცა. რუსეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ ასეთი ნაბიჯის შემდეგ გერმანეთს დაყოვნება აღარ შეეძლო და ასეთი მობილიზაცია მისთვის ომის გამოცხადებას უდრიდა. მთელმა ქვეყანამ და ინგლისმაც კარგად იციან, რომ განკარგულება რუსეთის მობილიზაციისა ადრე მოხდა, ვიდრე გერმანეთისა და ავსტრიისა.

ომის შემდეგ მთელი კაცობრიობა გადაჭრით მოითხოვს სამშვიდობო ხელშეკრულობასა და შეთანხმებას, რათა თავიდან აიცილოს ისეთი საშინელი უბედურება, როგორიც არის დღევანდელი ომი. ეს მოთხოვნა ისეთი ძლიერი და სამართლიანი იქნება რომ უეჭველია ნაყოფს გამოიღებს. გერმანეთი მთელის ძალღონით ხელს შეუწყობს ამ საკითხის პრაქტიკულ განხორციელებას, მით უმეტეს, რომ ომმა წამოაყენა პოლიტიკური გარემოებანი, რომლის განსახორციელებლად საჭიროა ყველა ეროვნებათა თავისუფალი განვითარება, როგორც დიდი ერის, ისე პატარა ეროვნებათა ასეთ განვითარებას თავისუფლებისა და უფლებათა პრინციპები უნდა განხორციელდეს არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაზედაც.

გრეიმ განაცხადა: როდესაც გერმანეთი დამარცხდება, ინგლისი თავის სურვილისამებრ განაგებს მთელს ქვეყანას. ინგლისმა და საფრანგეთმა 1915 წელს რუსეთს უზრუნველყვეს ბატონობა სტამბოლსა, ბოსფორსა და დარდანელის დასავლეთ სანაპიროებზე, ხოლო მცირე აზია მოკავშირე სახელმწიფოებმა გაინაწილეს.

ომის წინად არსებული საერთაშორისო“ დამოკიდებულებათა ისტორია მთელი ქვეყნისათვის ნათელია. რა იზიდავდა საფრანგეთს რუსეთისაკენ? ელზას ლოთრინი რა უნდოდა რუსეთს? სტამბოლი. რად მიემხრო ინგლისი მათ? იმისათვის, რომ გერმანეთი თავის მშვიდობიანი მუშაობით მეტის მეტად გაძლიერდა რა ჰსურდა გერმანეთს გრეის აზრით გერმანეთს უნდოდა, საფრანგეთ-ბელგეთის ხელშეუხებლად დატოვებით ინგლისისაგან ეყიდნა უფლება, რომ საფრანგეთისათვის რომელიმე ახალშენი ჩამოეჭრა. ყოვლად უგნურ გერმანელსაც კი ფიქრად არ გაუტარებია საფრანგეთზე გალაშქრება და რაიმე ახალშენის წართმევა. ევროპისთვის საბედისწერო ის გარემოება იყო, რომ ინგლისის მთავრობა რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობას აქეზებდა და ისეთ დაპყრობით მადას უღვიძებდა, რომელიც ევროპის ომის გარეშე მიუღწეველი იყო, ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ იმ თავითვე ამხედრდა გერმანეთი და მოგერიებით ომსაც თავისი ეროვნული არსებობისა და თავისუფალი განვითარების უზრუნველსაყოფად აწარმოებს.

რაც უნდა დიდათ გააძლიეროს ინგლისმა თავისი ძალები, იგი იქამდე მაინც ვერ მიაღწევს, რომ გერმანეთის გარდუვალი ნებისყოფა შეარყიოს, რადგანაც მის ძლიერებასაც თავისი საზღვარი აქვს. გერმანეთი იმედიანად ელის, რომ მისი მტრები ოდესმე მაინც მივლენ ასეთ დასკვნამდე.

## ჭიათურის მადნების დაკარგვა და შ. ქ. მრეწველთა საბჭოს უზრუ[illegible]ლი

ბიბლიოთეკა

ამას წინათ გაზ. „საქართველო“-ში და „სამშობლო“-შიც აღნიშნული იყო ცნობა ვინმე გიორგი ცერცვაძის შესახებ, რომელიც შუაკაცათ დასდგომია უცხოელებს ჭიათურის მხარეში, მარგანეციან ადგილების შესყიდვის საქმეში. აღნიშნული იყო, რომ ბ-ნი ცერცვაძე ხელს უწყობს უცხოელებს მათ მიერ ქართველთაგან ჩალის ფასათ მდიდარი მადნების მოპოებაში. შეიძლება მაშინ ეჭვი შეიტანა ვინმემ ამ სამწუხარო ამბავში. სავალალოდ, უნდა ვაუწყოთ მკითხველებს რომ, როგორც დანამდვილებით გავიგეთ ეს ამბავი სრული ჭეშმარიტება ყოფილა.

ახლა ისე იყიდება ხსენებული მადნიანი ადგილები, რომ სულ მალე მთლათ უცხოთა ხელში გადავა. და ეს იმ დროს, როდესაც ამდენი კორიანტელი დავაყენეთ უკვე ჩვენი ხელიდან დაკარგულ გერმანელთა ფირმების ჭიათურის მადნების უკან დასაბრუნებლათ, რის შესრულებაც მეტად ძნელი და მძიმე საქმე იქნება.

თქმა არ უნდა, რომ კერძო საკუთრების მეფობის ხანაში თავის საქონლის გაყიდვას და სხვისის ყიდვას, ძნელათ შეაფარხებს ადამიანი. ამასთან იმის კიჟინიც ამაო და უსარგებლოა, რომ შუა კაცობა არავინ გაუწიოს უცხოელებს ჩვენი დოვლათის შეძენაში. ეჭვს გარეშეა, რომ გიორგი ცერცვაძე არ გარეულიყო ამ საქმეში, გაერეოდა სხვა. ვსთქვათ, გრიგოლ ჩიბურდანიძე, გინდ ვახტანგ გარაყანიძე.

დალალებსა და კომისიონერ—მაკლერებს ჩვენ ვერ მოვსთხოვთ, რომ მამულიშვილობისა და საქვეყნო საქმეებისათვის ხელი აიღონ მათ თავიანთ საქმეებზე, და უარჰყონ თუნდა ის გროშები, რასაც იღებენ სამოწყალოთ უცხოელთაგან მილიონიან საქმეების მოწყობის ჯილდოთ.

ვსთქვათ, წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი და ყოველი ქართველი კაცი, ისე გაიმსჭვალა მამულიშვილურის გრძნობით, რომ არცერთმა ქართველმა არ იკისრა ჩვენს სამშობლოში ეს ხელობა—შუაკაცობა უცხოელთა და ქართველთა შორის. განა ცოტა სომეხმა, ებრაელმა, რუსმა და თათარმა იცის ქართული ენა, რომ გამოუძღვენ ქართული ენის არამცოდნე გერმანელს, ინგლისელსა და ფრანგ კაპიტალისტებს ჩვენი დოვლათის შესაძენათ.

ეს ასეა, მაგრამ, რაც არ მოეთხოვება უბრალო დალალ მაკლერ შუაკაცებს ის კი უნდა მოეთხოვებოდეს ისეთ ქართველ მოღვაწე მამულიშვილებს, რომელნიც შემთხვევას არ უშვებენ თავიანთ მამულიშვილურ გრძნობათა ბაზარზე გამოსატანათ და ყოველ გზაჯვარადინზე გაჰკივიან თავიანთ მამულიშვილობაზე, ჰგოდებენ სამშობლოს ჭირ ვარამზე, ბჭობენ უმაღლეს მატერიებზე და გაიძახიან: ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებელი ღამისაო. ასეთები კი ბრძანდებიან ჭიათუ-

## მსოფლიოს ერთობა.

### ორგანიულისა და არა ორგანიულის ერთობა.

(იხ. „სამშობლო“ №478)

რა არის ბენზოლი? ბენზოლი ქვანახშირის გამოხდის ერთ-ერთ ნივთიერებას წარმოადგენს. მისი მოლეკულა შესდგება ნახშირდედის ექვსი ატომისა და წყალდედის ექვსი ატომისაგან $C_6H_6$ სხვათა შორის კარბოლის სიმჟავე წარმოსდგება, როდესაც ბენზოლის მოლეკულის ატომებს ჟანგდედის ერთი ატომი მიემატება. როგორია ბენზოლის აგებულება? წარმოიდგინეთ წრე, შემდგარი, ნახშირდედის ერთმანეთთან გადაჯაჭვული ატომებისაგან, რომელი ატომებიც გადაჯაჭვული არიან გვერდებისკენ წყალდედის ატომებთან, წარმოიდგინეთ ახლა, რომ ნახშირდედის ერთმანეთთან გადაჯაჭვულ ატომებთან, რომელნიც წრეს გარეშემოსწერენ, მიჯაჭვული არიან გვერდებისკენ არა წყალდედის უბრალო ატომები, არამედ რთული ნივთიერებანი: ნახშირწყლები, ქონები, რთული აზოტიანი ნივთიერებანი ან მათი შეერთებანი.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ბენზოლის რომელიმე კუთხე, ანუ გვერდი, უჭირავს ან ნახშირწყალს ან ქონს ან ისეთს აზოტიან ორგანიულ ნივთიერებას, რომელშიაც შედის აზოტის ქვეჟანგი (N0) ან რკინა (Fe) და ეს ჯგუფი, ანუ წრე, შეკეცილია მრავალჯერ. წარმოვიდგინოთ იმავე დროს, რომ ნახშირწყალი (ე. ი შაქარი) ხშირად თავისუფალი არ არის და რომელსამე ცილისებურ ნივთიერებასთან არის მჭიდროდ შეერთებული (მაგალითად, ღირტყის გამომთხევ უჯრედებში); წარმოვიდგინოთ აგრეთვე, რომ ქონი მჭიდროდ შეკავშირებულია რომელსამე რთულ აზოტიან ნივთიერებასთან (მაგალითად, ოლეინი ფოსფორის სიმჟავეხთან და ნევრინთან) და წარმოადგენს რთულს აზოტიან ნივთიერებას. რომელსაც უჭირავს ბენზოლის ზოგიერთი კუთხე (ამგვარია, მაგალითად, ნერვიული უჯრედის ლეციტინი). ერთი სიტყვით, შეერთებათა მრავალგვარობა და სირთულე ახასიათებს პროტოპლაზმის მოლეკულის აგებულებას.

პროტოპლაზმის მოლეკულის ის გვერდები, რომლებშიაც აზოტის ქვეჟანგი (№0) ან რკინის ატომია (Fe), ხარბად იზიდავენ ჟანგდედსა რომელიც სწვავს სხვა გვერდების ნახშირწყლებსა (შაქრებსა) და ქონებს

მაგრამ ჟანგდედა ცილებსაცა სწვავს. დამტკიცებულია, რომ რამდენი ცილიც არის საჭმელში, თითქმის იმდენივე ცილის აზოტი გამოდის შარდში და ნაყრში. მაშასადამე, ის ცილი, რომელსაც ჩვენ საჭმლიდან ვითვისებთ და ჩვენს სისხლში შევისვამთ, სხეულიდან უკანვე გამოდის. ამგვარად, ეს ცილიც იწვის. აქედან უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შეთვისებულ ცილს პროტოპლაზმაში ზოგიერთი გვერდი უჭირავს. ცხადია კი, რომ ეს ცალი შესაფერად შეცვლილი უნდა იყოს.

და საფიქრებელია, რომ, რადგან იმ ცილის, რომელსაც საჭმლიდან შევითვისებთ, აზოტი თითქმის მთლად გარეთ გამოდის, აგრეთვე მთელი სახამებლისა (ნახშირწყლის) და ქონების, რომელთაც აგრეთვე საჭმლიდან შევითვისებთ, ნახშირდედა და სხვა ელემენტები სხეულიდან გარეთვე გამოდიან, სხეულში ჟანგდედა თითქმის მარტო ახლად შეთვისებულ საზრდოსა სწვავს.

მაშასადამე, ახლად შეთვისებულ ელემენტებს (ნახშირწყლებს, ქონებსა და ცილებს) პროტოპლაზმაში განსაკუთრებული გვერდები უნდა ეჭიროსთ და ეს გვერდები პროტოპლაზმის უფრო მჭიდროდ შენაწევრებული გვერდებისაგან ალბად განსხვავდებიან.

რადგან პროტოპლაზმის მოლეკულაში ნახშირდედის რამდენიმე ასი ატომია, ამიტომ, ფიქრობენ, რომ პროტოპლაზმაში ბენზოლის ხსენებული გული მრავალჯერ შეკეცილია, ე. ი. ბენზოლის გულთა მთელი კრებულია. ხსენებული გულები, ერთი მხრით, ერთმანეთთან არიან მიჯაჭვული და, მეორე მხრით, ხსენებულ ნახშირწყლებთან (ნახშირწყლები ეწოდება შაქარსა და სახამებელს), ქონებთან, ცილებთან ან მათთან სხვა ორგანიულ ნივთიერებათა შეერთებებთან.

ამგვარია, დაახლოებით, ცოცხალი ცილის ქიმიური შედგენილობა. მაშასადამე, მისი შემადგენელი ნაწილები. ბენზოლი, ნახშირ-წყლები, ქონები და ცილები არა ცოცხლი ნივთები არიან.

ამიტომ, არ არის შუაზღუდე უსულო ნივთსა და ცოცხალ უჯრედს შორის. და განსხვავება მათ შორის მხოლოდ ანაგების განსხვავებით გარეშეიწერება.

შეიძლება სთქვან: ცხოველში ისეთი ქიმიური მიმოცვლა წარმოობს, რომლის მსგავსი არაცოცხალ ბუნებაში არ მოიპოვებაო. განვიხილოთ საძიებელი საკითხის ეს მხარე.

პირველყოფილი, მიკროსკოპიული, ერთუჯედრიანი ამება რომ მოათავსოთ ერთს წვეთს წყალში, რომელიც წყალდედის გარესკნელში მდებარეობს, 24 წამის შემდეგ შესწყვეტს მოძრაობასა და მალე მოკვდება.

იგივე შედეგი მოჰყვება ხსენებული ცხოველის აზოტის გარესკნელში მოქცევას. ნახშირჟანგი ხომ კიდევ უფრო ადრე შესწყვეტს სიცოცხლეს. თვითეული ჩასუნთქმის დროს ჩვენს ფილტვებში ნახევარი ლიტრი ჰაერი ჩადის, ერთს საათში, მაშასადამე, კუბითი მეტრის ნახევარი. რა საჭიროა ჩვენთვის ჰაერი? როგორც სხვა ცხოველებს, არც ჩვენ შეგვიძლია გავძლოთ აზოტის (ჰაერში 78,60%-ი) არგონისა (0,94%-ი) და ნახშირ-ჟანგის (0,03%) გარესკნელში, ჟანგდედა კი (21%) აუცილებელია აზოტს მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჟანგდედის მოქმედებას ზომიერ ჰქნის).

რა საჭიროა ჟანგდედა! ჟანგდედა ამჟავებს, სწვავს მოლეკულის ზოგიერთი გვერდის ქიმიურ შედგენილობათ: ნახშირწყლებს, ქონებსა და რთულ აზოტიან ნივთიერებათ.

ნახშირწყლები შესდგებიან ნახშირისა და წყლის შეერთების შეკეცილი ატომებისაგან, სახელდობრ ნახშირის 6 ატომისა და წყლის ხუთი მოლეკულისაგან ($C_6H_{10}O_5$). როდესაც ნახშირწყალი იწვის, იწვის მხოლოდ ნახშირდედა და არა წყალი, დაწვის დროს იშობება სითბო, ცხოველისათვის აუცილებელი.

ქონის მოლეკულა შესდგება ნახშირდედის 55 ატომისა, წყალდედის 104 ატომისა და ჟანგდედის მხოლოდ ექვსი ატომისაგან. ამიტომ, ქონის დაწვის დროს ჟანგდედა შეუერთდება არა მარტო ნახშირის 55 ატომს, არამედ წყალდედის 92 ატომსაც (წყალდედის დანარჩენი 12 ატომი შეუერთდება ქონის ჟანგდედის 6 ატომსა და წარმოშობს წყალს). ამიტომ ქონის დაწვისაგან მეტი სითბო იშობება, ვიდრე ნახშირწყლის დაწვისაგან.

მაშასადამე, პროტოპლაზმაში ნივთიერებათა მიმოცვლა ამგვარად წარმოობს. პროტოპლაზმის აზოტიანი ნაწილები, რომელნიც შეიცავენ აზოტის ქვეჟანგს (NO)

რის შავიქვის მრეწველთა საბჭოს წევრები, მათი მახლობელნი და ავან ჩავანები.

ნუთუ კიტა აბაშიძემ, ილ. კაკაბაძემ ალ. კრინიცკიმ და მათმა თანამოაზრეებმა არ იციან ზემოხსენებული ამბავი, რომ უკანასკნელი სიმდიდრე შავიქვის მადნებისა ახლა გადადის უცხოელთა ხელში? რა ილონა შავიქვის მრეწველთა საბჭომ და მისმა სულის ჩამდგმელებმა, რომ ეს სავალალო პროცესი შეეჩერებიათ და მიეცათ სხვა, ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო გამოსავალი მისთვის.

ჩვენი ქვეყნის საწარმაო ძალები იფურჩქნებიან, ნივთიერ ძალღონეს იკრებენ, რომ ვაჭრობა მრეწველობაში ფეხი მოიდგან ქართველებმაც და ნუთუ იმდროს, როდესაც ეს უკანასკნელნი აარსებენ დიდ სავაჭრო სამრეწველო ბანკს, ფიქრობენ გერმანელთა ფირმების ჭიათურის მადნებისა და ქარხანების შეძენაზე, იმას ვეღარ მოახერხებდენ, რომ მადნიანი ადგილები შეეძინათ იმ ხელმოკლე მემამულეთაგან, რომელნიც გროშის ფასათ ეთხოვებიან საშვილიშვილო მამაპაპეულ სიმდიდრეს? მოახერხებდენ, მაგრამ მათ სჭიროდათ ხელმძღვანელი, რომელმაც მათზე უკეთ იცის ადგილობრივი პირობები. და ვინ გასწევდა ასეთ ხელმძღვანელობას შავიქვის მრეწველთა საბჭოზე უკეთ, რომ ეს უკანასკნელი თავის ადგილზე იყოს და იგი სათანადო ანგარიშს უწევდეს არსებით საკითხებს. რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო არაა თავის ადგილს, ამას ისიც ამტკიცებს, რომ სახელწოდებით და საქმით „ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭო", რომელიც უნდა იყოს ჭიათურაში, გადმობძანდა ქუთაისში. ვინ არ იცის. რომ, სადაც საქმეა მუშაობაც იქაა საჭირო. რატომ ამას არ უწევენ ანგარიშს საბჭოს ხელმძღვანელები?

კი, მართალია საცხოვრებლათ ქუთაისი სჯობს ჭიათურას, მაგრამ ჭიათურის საქმეების მართვა გამგეობა თვით ჭიათურაშივე უნდა იყოს. მაშინ საბჭოც ახლოს იდგომება, როგორც მრეწველებთან ისე მადნების პატრონებთან. მაშინ იგი დარაჯათ იქნება, რომ ჩალის ფასათ არ იღუპებოდეს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე. ამიტომაც იყო, რომ ჭიათურის შავიქვის მრეწველთა კრებაზე რამდენჯერმე აღძრეს საკითხი ქუთაისიდან საბჭოს ჭიათურაში გადასვლის შესახებ და დაადგინეს კიდეც, მაგრამ საბჭოს ხელმძღვანელები მუდამ ყურს იყრუებდენ და ყურს იყრუებენ ახლაც. ეს დიდი დანაშაულია მათგან. თუ არ სურთ ემსახურონ მრეწველებს იქ, სადაც თვით ეს უკანასკნელნი მრეწველობენ, თუ იმდენათ არ შესტკივათ საქმისათვის გული, რომ თვით საქმეს დაუახლოვდენ, ფხიზლათ იყვნენ და მას ემსახურონ, ჩამოშორდენ ამ საქმეს.

ჩვენ იმედი გვაქვს ჭიათურის შავიქვის მრეწველნი აიძულებენ მათი საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს ამ ორში ერთი ქნან: ან გადავიდენ ჭიათურაში, გადიტანონ საბჭო იქ და იქაურ საქმეებს ფხიზლად ადევნონ თვალყური და ადგილობრივ იმსახურონ, ან თავი დაანებონ სამსახურს და გადაადგენ თანამდებობიდან. სხვაგვარი მოქმედება მათის მხრივ დანაშაულია ჩვენი ქვეყნის წინაშე

ა. კლარჯეთელი

# სახელმწიფო სათათბირო.

## 4 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარე როძიანკო აცხადებს, რომ სამხედრო მინისტრს ჰსურს რიგს გარეშე განმარტება მისცეს სათათბიროს.

სამხედრო მინისტრი გენერალი შუვაევი ლაპარაკობს გერმანიის შესახებ, რომელიც დიდი ხანი ემზადებოდა თავის მეზობლების დასაჩაგრავად, მაგრამ ანგარიში შეეშალა და ეხლა უჭირს. შემდეგ მინისტრი ლაპარაკობს, თუ რამდენად გაიზარდა რუსეთში საომარ იარაღების დამზადება. ბოლოს მინისტრი გამოთქვამს იმედს, რომ რუსეთი უეჭველად გამარჯვებული გამოვა ბრძოლიდან, რადგან არაა ქვეყანაზე ძალა რუსეთის შემლახველიო.

შემდეგ ლაპარაკობს საზღვაო მინისტრი: მე ძლიერ მოკლედ ვილაპარაკებ და სამხედრო მინისტრის ნალაპარაკევს აღარ გავიმეორებ. ერთი კი უცილობელია— ომს განვაგრძობთ ბოლომდე (ტაში და „ბრავო").

ბ ნებო თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, დაეხმაროთ სამხედრო მინისტრს, რადგან ქვეყნის დაცვა მოითხოვს თქვენსა და ჩვენს ხელიხელჩაკიდებულ მუშაობასო (ძლიერი ტაში).

როდიჩევის და მარკოვ მე-2 სიტყვის შემდეგ სათათბირომ გადასწყვიტა მთავრობის წარმომადგენელთა განცხადების თაობაზე შემდეგ სხდომებზე იმსჯელოს და სხდომაც დაიხურა.

ხუთი ნოემბრის სხდომაზე არჩეულ იქმნენ ორი თანაშემწენი სათათბიროს თავმჯდომარისა—ნეკრასოვი და ბობრინსკი.

# ახალი ამბავი.

◈ ქალაქის საბჭოს 7 ნოემბრის სხდომაზე სხვათა შორის განხილულ იქნა რკინის გზის სამმართველოს თხოვნა, რომელიც ითხოვდა ქალაქისაგან, სადორიაზე 86 დესიატინა მიწის დათმობას. რკინის გზის სამმართველოს ამ მიწაზე გადაწყვეტილი ჰქონდა მდ. რიონის შტოს გაყვანა სადგურ რიონისაკენ და მის მახლობლად ელექტრონის სადგურის აგება, მაგრამ ქალაქის საბჭომ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

◈ ხოლერის ნიშნებიანი ავათმყოფი გუშინ ლევაშოვის ქუჩაზე, სპირიდონ ბასილაძის სახლში აღმოჩნდა ხოლერის ნიშნებით ავათმყოფი იაკობ შაუკიძე, რომელიც თბილისიდან ყოფილა მოსული, ავათმყოფი ქალაქის გადამდებ სენიანთა ბარაკში მოათავსეს,

◈ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში, რადგან ამ ბოლო დროს ქუნთრუშა ძალზე გავრცელდა, დაბალ კლასებში, მესამე კლასამდე, ორი კვირით სწავლა შესწყდა, ხოლო მესამე კლასიდან მერვემდე—ერთი კვირით

◈ 20 ნოემბრიდან ქუთაისში, „რეგულიატორის" გამგეობის თაოსნობით იხსნება ათ დღიანი პრაქტიკული კურსები, მომხმარებელ კოოპერატივებში ანგარიშების და საქმეთა წარმოების შესასწავლად. კურსებზე შესაძლოა მხოლოდ 50 მდე მსმენელის მიღება, ჯერ-ჯერობით შემოტანილია 18 განცხადება, მთხოვნელთა შორის უპირატესობა ეძლევა საერთო განათლებით უფრო მომზადებულთ და კოოპერატივის კანდიდატებს.

◈ ფინანსთა მინისტრს დაუმტკიცებია ამიერ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის წესდება.

◈ შუამდგომლობა, სოფელ თერჯოლას (შორაპნის მაზრა) მცხოვრებნი: მხიელ გოკსაძე, გიორგი მაჭავარიანი და ვლ. ვარდოსანიძე, შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართონ მათ, რომ გახსნან ხსენებულ სოფელში მომხმარებელი საზოგადოება სახელწოდებით „იმედი".

მომხ. საზოგადოების ნებართვას თხოულობენ აგრეთვე სოფელ ხრეითის მცხოვრებნი: ვლ. ჯაფარიძე, ისმაილ და ნარიმან შეყრილაძეები, რომლებთაც სურთ გახსნან ხსენებულ სოფელში საზ. „გამარჯვება".

◈ ამ ბოლო ხანებში ქუთაისში ცუდი ამინდები დაიჭირა, თითქმის ყოველ დღე წვიმს, 7 ნოემბერს სეტყვაც მოვიდა, ქუჩები წყლით აივსო, გავლა განაპირა უბნებში თითქმის შეუძლებელი იყო.

◈ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს: დავით ჩოგავაძეს, მიხაილ გოგისვანიძეს, ვიქტორ არუშიძეს, ილიკო გორგიძეს, სამსონ ბაბუნაშვილს, ალექსანდრე ფურცხვანიძეს, იაკობ გაბუნიას და კოწია ჯიმშელეიშვილს.

◈ ადგ. კლასიკური გიმნაზიის შენობაში 6 ნოემბრიდან საღამოობით იმართება პატრიოტული შინაარსის ლექციები ჯარის-კაცთათვის. ლექციას კითხულობენ ხსენებული სასწავლებლის მასწავლებლები.

◈ ქუთაისის სემინარიაში სწავლა დაიწყება 12 ნოემბრიდან.

◈ ამ დღეებში რეგულიატორის გამგეობის თავმჯდომარე იას. გაბილაია მიემგზავრება თბილისში, რომელსაც მიზნათ აქვს იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე რათა ხსენებულ საზოგადოებას დაეთმოს სიმინდისა და მარილის მოსატანათ ტრანსპორტი.

## სოფლად.

სოფელ ხიბულაში. (ზუგდიდის მაზრა) 25 ოქტომბერს, ავქსენტი შენგელიამ და მასთან კიდევ ერთმა ბოროტ-გამზრახველმა გაუტეხეს სახლი რაჟდენ ჯანაშიას და წაართვეს სხვადასხვა ნივთები, რაც ხელთ მოხვდათ, აქედან ეწვიენ მეორე მეზობელს თომა მიქაძეს, უკანასკნელსაც წაართვეს მრავალი ნივთები და მიიმალენ. პოლიციამ დააპატიმრა ერთი მათგანი ავ. შენგელია და გადასცა სასამართლოს.

— თავდასხმა სოფელ ნიკოსიაში (ზუგ. მაზრა) სოხუმიდან-ზუგდიდისაკენ მიმავალ დილიჟანს, 25 ოქტომბერს თავს დაესხა რამოდენიმე ავაზაკები და აუტეხეს სროლა, დასჭრეს მგზავრებთაგან 3, გაძარცვეს მრავალი და გაუდგენ გზას. ადგილობრივმა პოლიციამ მიიღო ზომები მათ აღმოსაჩენათ და გამოარკვია, რომ ამ თავდასხმის მეთაურთაგანია ცნობილი ყაჩაღი პლატონ ფიფია, რომელსაც დილიჟანსზე თავ-დასხმის წინ ორი ავაზაკის დახმარებით გაუძარცვავს ს. ნიკოსიაში მცხოვრები გლეხი ნესტორ ფაცია და წაურთმევია 30 მ. ფულად და სხვადასხვა ნივთები.

— სოფელ კარიატაში (სამეგრელო) 24 ოქტომბერს ავაზაკებმა: დარასელიამ და ქაჯაიამ წინადადება მისცეს ამ სოფლის მღვდელ ანტონ ქველიას, რომ მიეცა მათთვის 200 მანეთი, რადგან ფული მოთხოვნისთანავე არ აღმოაჩნდა უკანასკნელს, ხსენებულმა ავაზაკებმა კიდევ ორი პირის დახმარებით, (იაკიმ შურგაია და ილია სიჭინავა) გაუჩინეს ცეცხლი ქველიას სახლს და ასტეხეს სროლა, რომ გადასარჩენათ არავინ მიშველებოდა, ცეცხლი გადავიდა ქველიას სახლიდან მახლობელ სამრევლო შკოლის შენობაზე, იქიდან მეზობლის სახლზე და სასიმინდეზე და სულ ერთიანად გაანადგურა, როგორც შეუფასებიათ მღვდელ ქველიას ზარალი უდრის 15,000 მანეთზე მეტს. სასიმინდე, რომელიც ეკუთვნოდა აკაკი ეხვაიას და რომელშიც ყოფილა 500 ფუთი სიმინდი, დამწვარა, ზარალი 2000 მანეთია, დაუწვავთ აგრეთვე პლატონ ლოლუას სასიმინდე რომელშიც 700 ფუთი სიმინდი ყოფილა ზარალი 1500 მანეთია. სამრევლო შკოლის შენობაში ყოფილა სხვადასხვა საშკოლო ნივთები, რომლებიც სულ ყველა დამწვარა, ზარალი 1500 მანეთია. ავაზაკები მიმალულან.

— სოფელ თეკლათში (სენ მაზრა) 27 ოქტომბერს ყაჩაღებმა კოლია გაბეჩავამ და ვლ. გუგუნავამ მოჰკლეს სილევან მაშავა, უკანასკნელს თურმე ჯაშუშობას სწამებდენ.

## თბილისი

— თავ. დ. ო. ნიჟარაძე, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშალი, პეტროგრადიდან თბილისს ჩამოვიდა და „კავკაზის" სასტუმროში გაჩერდა

— გენ.-დ. ვოლსკის განკარგულება. „საომარ დროის პირობებმა, რომელმაც ადგილობრივ პოლიციის მოვალეობანი ძლიერ გაართულა, ნიადაგი მოუმზადა ყაჩაღთა მუდმივ ბრბოს, შევსებულს სხვა და სხვა ბოროტგამზრახველთა მიერ, უმეტეს ნაწილათ ქუთაისის, თბილისის და განჯის გუბერნიებში სამოქმედოთ ამ ბრბოთა მოქმედებას დიდი ზარალი მოაქვს ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის და ბრძოლის გარდა ჩვენი ცხოვრების მყუდროებაც დაირღვა. მივიღე რა შესაფერისი ზომები ამ ბრბოთა სალიკვიდაციოთ, ვთხოვ მცხოვრებთ დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ პოლიციას, ყველამხრივ, რისთვისაც მცხოვრებნი დაჯილდოვებულ იქმნებიან შესაფერის დ ყველა საქმეები კერძო პირთა ყაჩაღობაზე, მეფის ნაცვლის ბრძანებით, საზოგდო სასამართლოდან გამოყოფილია და სამხედრო სასამართლოზეა გადაცემული სწრაფლ განსახილველად. რაც შეეხება იმ პირთ, რომელნიც ამ ყაჩაღთა ბრბოს ხელს უწყობენ, ადმინისტრატიულ წესით გაიგზავნებიან ირკუტსკის გუბერნიაში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

— კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის წესდება, როგორც ტფილისში ცნობა მოვიდა, უკვე დაუმტკიცებიათ პეტროგრადში. ბანკის ძირითადი თანხა წესდებით სამი მილიონი მანეთი უნდა იყოს. 6 ნოემბერს ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის კრება გაიმართა. კომიტეტმა დაადგინა, დაუყოვნებლივ შეჰკრას პირობა სათავად-აზნაურო ბანკის მართველობასთან, რომლისაგან შენობას ქირაობს აპოლი ,ბანკი და შენობა საჭირო ინვენტარით მოწყობილ [illegible] განმავლობაში, [illegible] ონერთა კრების მოსაწვევად კომიტეტმა აირჩია სავანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: პ. ა გოთუა, ნ. ე. წვერავა, თ-დი მ. დ. ჭავჭავაძე, ს. ი. ფორაქიშვილი და ა. გ. ფირალიშვილი.

— ეთერ ბილეთიანები, რომელნიც მთავრობის დაწესებულებაში მსახურებენ, სამხედრო ბეგრის მოსახდელად უნდა გამოცხადნენ სამაზრო და ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში შესამოწმებლად, თან უნდა წარადგინონ თავიანთი საბუთები პიროვნებისა და სამსახურის შესახებ. თუ ექიმები მოიწონებენ სამხედრო სამსახურისათვის, მაშინ მათ 6 კვირით უნდა ითხოვონ სამსახურიდან განთავისუფლება, რომ ამ დროში მოასწრონ შეღავათის მიღება.

— ახალი სკოლები. კავკასიის ოლქის მზრუნველმა ნება დართო ქ. შ. კ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას გახსნას სოხუმსა და გალში ქართული სკოლები, რომლის დაარსებასაც დიდხანს წინ ელობებოდა სოხუმის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი.

— ტატიანას კომიტეტს განუზრახავს გამოსცეს ცალკე წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით და დალაგებით იქნება აწერილი რუსეთის ლტოლვილთა ისტორია. კომიტეტმა შესაფერი მასალის მოწოდება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასაც სთხოვა.

# ქალაქის საბჭო.

ორშაბათ საღამოს, როგორც იყო, შესდგა საბჭოს სხდომა, რომელზედაც ძლივს-ძლივობით დაესწრო ოცი კაცი, ესე იგი მესამედი საბჭოსი. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი ი. ნიქოლაძე.

წარსული სხდომის ოქმის წაკითხვის შემდეგ, რომელიც მიღებულ იქნა, ქალაქის თავმა სთქვა:

ის საკითხი, რომელიც უნდა დღეს აღვძრა არც ისე ახალია. რამდენჯერმე ვაპირებდით მის გადაწყვეტას, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, რომ კრებას დაესწროს ნახევარზე მეტი რიცხვი ხმოსნებისა.

ეს მეხუთე კრებაა ივლისიდან და საკმაო რიცხვი ხმოსნებისა არც ერთ კრებას არ დასწრებია.

მე კანონი ნებას მაძლევს ვიმოქმედო ისე როგორც მოხსენებული არის ქალაქის დებულების 87 მუხლში. ესე იგი ქალაქის გამგეობამ თავისი დასკვნა გაუკეთოს. ეს საკითხი შეეხება გიდრავლიკულ სადგურის გაკეთებას. და არხის გაყვანას. ბალახვანის ქუჩიდან არხი უნდა გავიდეს. (შორომიდან) გადასწვრას სადორიის „დაჩა" და რიონის სადგურის მახლობლად აშენდეს გიდრავლიკული სადგური. ესე იგი, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, უნდა გაკეთდეს იმისთანა ჩანჩქერი (ВОДОПАДЪ), რომელიც გამოყენებულ იქნება ელექტრონის მანქანებისათვის, და რომლის ძალითაც, სხვათა შორის იმოძრავებენ მატარებლები რიონსა და ხაშურ შორის.

აი ამ არხისათვის რკინის გზა თხოულობს 86 დესიატინა*) მიწას. რკინის გზა ეკითხება გამგეობას რა ფასში შეგიძლიათ, რომ დაგვითმოთო.

ეს საკითხი თურმე პირველად აღძრულა 1911 წელში და უკანასკნელათ კი 4915 წ ქალაქის საბჭოს გამგეობასთან ერთად ეს წინადადება საზარალოთ და მავნებლად უცვნია რადგანაც სადორიის „დაჩის" ფასს დაცემსო და უარი უთქვამთ. აი ახლა რკინის გზამ ხელახლა წამოაყენა ეს საკითხი. და საინტერესოა გავიგოთ ახლა რაღა აზრისა ვიქნებითო.

ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ერთნი ამბობდენ:

ქალაქმა უნდა დაუთმოს ეს მიწა, ამით ქალაქს რამოდენიმე ათასი მანათი შეეძინებ და აღებ-მიცემობაც დატრიალდებაო. მეორენი კი იმ აზრისა იყვნენ რომ არა არ დაუთმოთ ეს ადგილი, რადგანაც ადგილს ფასი დაეკარგებაო.

დიდი დავის შემდეგ ხმის უმრავლესობით გადაწყდა რომ ეს ადგილი რკინის გზას არ დაეთმოს, თუ ვინცობა, ძალით წაიღეს მაშინ ქალაქი ეცადოს, რაც შეიძლება მეტი ფასში გაჰყიდოსო.

არხი თურმე არ უნდა იყოს ნაკლებ თუთხმეტი საჟენისა და არა მეტი ოცდა ათი საჟენისა და სიღრმე ზოგან ათ საჟენამდე უნდა ჰქონდეს.

აი ამისთა რთულ საკითხს „ჩვენი მამები" ზერელედ უყურებენ ვინ იცის, თუ რა სარგებ-

*) რუსული დესიატინა ჩვენებური ორი და ორი მესამედი ქცევაა.

---

და რკინის ატომს (Fe), იზიდავენ სისხლის წითელი ბურთებისაგან (უკანასკნელნი კი ჰაერიდან) ჟანგბადს, რომელიცა სწვავს ახლად შეთვისებულს მასაზრდოებელ ცილებს, ნახშირწყლებსა და ქონებს. ამ ნაწილების ჟანგბადით დაწვას, დაშლას, ეწოდება დისსოციაცია. როდესაც დისსოცია მხოლოდ ამ საკვები ელემენტების, საზრდოს, დაწვით, დაშლით, გარეშეიწრება, მაშინ ცოცხალი პროტოპლაზმის ნორმალური, წესიერი მუშაობა უზრუნველყოფილია. და, როდესაც პროტოპლაზმას საზრდო აკლია, მაშინკი მისი უფრო მჭიდროდ შენაწევრებული ნაწილები იწვიან, ირღვევიან, იშლებიან. მაგრამ საკვირველია, რომ ამ დაწვის, დარღვევის ქმნადობას მეტადრე ნერვიული უჯრედის ცოცხალი პროტოპლაზმა ძლიერ აბრკოლებს.

და, როდესაც პროტოპლაზმა კვლავ მოიპოვებს საზრდოს, მისი დარღვეული ნაწილები, რომელნიც მისი სიცოცხლისათვის აუცილებელი არიან, კვლავ აღსდგებიან, აშენდებიან: პროტოპლაზმას აქვს ნიჭი საზრდო თვისად შესცვალოს, თავის თავს მიამსგავსოს. ამას თვისად შეცვალების, ანუ ასსიმილაციის, ქმნადობა ეწოდება.

როგორცა ვთქვით, პროტოპლაზმამ საზრდო, ე. ი. ნახშირწყლები, ქონები და ცილები, ჯერ უნდა შეიხორცოს და ეს შეხორცებული საზრდო მხოლოდ შემდეგ შეუძლია მოიხმაროს, ე. ი. დასწვას ჟანგბადითა, და ამით საჭირო სითბო მოიპოოს. საზრდოს ამგვარი შეხორცება, შეცვლა, რასაკვირველია, იმავე თვისადშეცვალების, ან ასსიმილაციის, ქმნადობას წარმოადგენს.

საზრდოს დაწვა, დაშლა, დაჟავება, დისსოციაცია, ანუ დისსიმილაცია, და საზრდოს შეხორცება, ასსიმილაცია, ერთსადაიმავე დროს წარმოობს.

როდესაც ასსიმილაციის, თვისადშეცვალების, ქმნადობა სჭარბობს დისსოციაციის, ანუ დაშლის, ქმნადობას, პროტოპლაზმა საზრდოს თვისადშეცვლილ ელემენტებს კიდევ უფრო თვისად მიიმსგავსებს, უფრო მჭიდროდ შეინაწევრებს. მაშინ პროტოპლაზმა გაიზრდება და გამრავლდება. ეს არის უჯრედთა ზრდისა და გამრავლების მიზეზი. ამგვარი ქმნადობა ახასიათებს ახალგაზდობას.

შემდეგ, შუა ხანში, თვისადშეცვალებისა და რღვევის, ან ასსიმილაციისა და დისსოციაციის, ქმნადობათა შორის წონასწორობა მყარდება: იმდინვე შენდება, რამდენიც ინგრევა, და ორგანიზმის ზრდა არც მატულობს და არცა კლებულობს.

მაგრამ საუკუნო, სამარადისო არ არის რა და, როგორცა ვთქვით, პროტოპლაზმაც, როგორც ყოველივე ნივთი, ნელნელა ცვთება, ე. ი. ინგრევა, ე. ი. მისი მჭიდროდ შენაწევრებული ნაწილები თანდათანობითა და თანმიდევნებით ინგრევიან, იწვიან. მაშასადამე, ნგრევის, დისსოციაციის, ქმნადობა სჭარბობს აშენების, ასსიმილაციის, ქმნადობას ორგანიზმი თანდათან ბერდება. და, როდესაც ნგრევის ქმნადობა საზღვარს გადააბიჯებს, პროტოპლაზმა მოკვდება.

ამგვარად, ხსენებულ ქიმიურ ქმნადობათა საშუალობით ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ცოცხალი ორგანიზმის მოქმედება, ზრდა და სიკვდილი. და, მაშასადამე, ამ საიდუმლოებათ რამდენადმე მაინც ფარდა ავხადოთ.

როგორც მკითხველი ხედავს, ზოგიერთი რამე, ზევით თქმული, წინასწარდებულება, ე. ი ჰიპოტეზაა, და, შესაძლებელია, ქიმიური ქმნადობა, ე. ი. ნგრევა და შენება, პროტოპლაზმაში სხვაგვარად წარმოობდეს. ქმნადობათა საერთო, ძირითადი საფუძველი კი—აღმოჩენილია და, მაშასადამე, ის შედეგი, რომელიც ამ დებულებათაგან შეგვიძლია გამოვიყვანოთ, სარწმუნოდ უნდა ალვიაროთ.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობა შეუძლია მოუტანოს ქალაქს ან რა ზარალი?..

განა ამისთანა საკითხს კარგათ გამოკვლევა და შესწავლა არ უნდოდა?

შემდეგ ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს: ქუთაისში ორი ათასი ჯარის კაცისათვის საკმაო ლაზარეთის გახსნას ვაპირებდით, რომელიც 896,000 მანათი ჯდებოდა; მაგრამ ნამესტნიკის კანცელარიამ ეს ხარჯი იკისრა და გადასწყვიტა ლაზარეთი დაარსებულ იქმნას ალექსანდროპოლში, სადაც თურმე შესაფერი ბინაც მოიპოვებაო.

ქალაქის თავმა აგრეთვე მოახსენა საბჭოს, თუ როგორ იშუამდგომლა მთავარ მართველებთან, მაგრამ პურის უქონლობის გამო უარი უთქვიათ, მერე ის მოუხერხებია თუ ფოთში ფქვილი აღმოჩნდა „რეკვიზიცია“ მოახდინონ.

დღემდი სასურსათო საქმის მთავარ გამგეთ ითვლებოდა შაშკოვსკი დღეის შემდეგ კი ჩვენს გუბერნატორს ნება აქვს უოველგვარი განკარგულება მოახდინოსო.

მესამე საკითხი შეეხებოდა ქალაქ ქუთაისში ბანკის გახსნას, „საგუბერნიო საკრებულოს“ უკვე შეუწუნარებია ქალაქის თხოვნა და ახლა ნამესტნიკის კანცელარიას წარედგინება დასამტკიცებლათ. ეს ბანკი იქნება წვრილ მესესხეების ხელის, მოსამართავად, დასასრულ უნდა ამოერჩიათ ოთხი ხმოსანი „Въ городское по квартирному—налогу присутсвіе“-ს—წევრებად ორი კაცი და ორიც მათ კანდიდატებათ, მაგრამ ხმოსნების საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ეს არჩევანი შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

მოქალაქე სეფე.

## ისევ ქუჩების შევიწროების საკითხი ქუთაისში.

პასუხი ბ-ნ მ. გორდეზიანს და კამპ.

(დასასრული)

აი, ამგვარი ძალადობის მაგალითი შეიქმენით თქვენ ბ. მეთოდე ჩვენი ყველასაგან მივიწყებულ და უპატრონო ქუჩების გაუმჯობესობის საქმეში და დღეს ამგვარ აშკარა შეცთომის შემდეგ კიდევ უკადრისობთ სხვისგან (თუნდაც ჩემგან) კეთილი გზის ჩვენებას საზოგადო საქმეში... სწორეთ ამგვარ საქციელს ეწოდება განათლებულ ხალხში უკულტურობა, რაც ასე გვაკლია ჩვენ.

ბევრ ამგვარების და უარესების მომსწრე ნაცადმა, მე თქვენი საქციელის გამო ამგვარ მოვლენას ქალაქის საალმშენებლო საქმეში ხაზი გაუსვი სხვების გასაფრთხილებლათ და „ქალაქის მამების“ საყურადღებოთ კი გაზეთის ფურცლებზე გამოვიტანე, რისთვისაც თავზე ხელის დამსობი რომ არვინ მეყოლებოდა, მე ეს კარგათ მესმოდა ხოლო მომდურავთა რიცხვის მატება ორთავე ფრონტიდან არც მაგრე მაკვირვებს, რადგან ქუთაისს ნამეტან კარგათ ვიცნობ, რაკი აქ კაი ხნის მკვიდრი ვარ...

ამნაირათ ჩემი წერილი გამოიწვია (და წინეთაც არა ერთხელ გამოუწვევია) მოქალაქობრივმა მოვალეობამ, რომ ქალაქის საქმეებს მეტ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ, ეს კი ყოველ კულტურულ ქვეყანაში ითითეული შეგნებული ადამიანის მოვალეობაა და მაშ. თუ თქვენც ასეთათ თავი მოგაქვთ, რისთვის აგვაყენებინეთ ასეთი კორიანტელი ამ უბრალო საქმეზე?!..

დღესდღეობით მე სურვილი აღარ მაქვს უფრო დაწვრილებით ამ ანბანურ ჭეშმარიტებაზე გებაასოთ. სხვანაირი ახსნა-განმარტება თქვენი ნაძალადევი მოქმედებისა შეგიძლიათ მოსთხოვოთ ნებსით თუ უნებლიეთ თქვენ დამცველებს პირადათ და პრესაშიც. მე კი ჩემი ზნეობრივი მოვალეობა დაბიო მოქალაქისა უკვე შევასრულე და, რაკი სიტყვიერათ არა გამივიდა სადაც ჯერ იყო,—ეს მოვლენა პრესაში გამოვაქვეყნე და აწი კი ამას მათ მიაპყრან ყურადღება, ვისიც პირდაპირ მოვალეობას ეს შეადგენს, ე. ი. ქალაქის გამგეობამ და მისმა ხმოსნებმა, რომელთა არჩევაში, სამწუხაროთ, დღევანდელ საქალაქო დებულებით, თქვენისთანა ცენზიანები აძლევენ ტონს, დაბიო ხალხს აქ ნაკლები უფლება აქვს თორემ ესეც არ იქნებოდა.

ჩემ წერილში („სამშ.“ № 472) მოკლეთ იყო აღნიშნული ჩვენი „სავარდო და სამაისო ქუთაისის“ საქალაქო საქმეების ნაკლულევანებანი. ხოლო დაწვრილებით მათი აღნუსხვა სახელდახელო საგაზეთო წერილში მოუხერხებელიც იყო და როცა საჭირო იქნება ამის მაგალითების საჩვენებლათ შორს არვის გავრჯით, ჩვენ მეზობლათაც ბევრს ვანახვებთ..

რაც შეეხება ჩვენსა და ქალაქის ტეხნიკოსებს შორის ამ საქმის გამო ამტყდარ დავაზე მსჯავრის დადებას,—ეს მე ჩემ პირველ წერილშივე გიკარნახეთ და ახლაც გიმეორებთ, რომ ქალაქის ტეხნიკურ კომისიასთან ერთათ ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ 2 ან 3 ხმოსანმა, რომელთაც კარგათ ესმის როგორც დღევანდელი კუდ მოკვეცილი საქალაქო დებულებანი, ისე პრაკტიკულათ გაცნობილი არიან ქალაქის საქმეებს და საკმაოთ ჩახედულნი მის მეურნეობაში. ამავე კომისიას უნდა შეემატოს გარეშედან საზოგადოების და პრესის წარმომადგენელნი, რათა საქმის გამოძიებას ობიექტიური ხასიათი მიეცეს და მსჯავრიც ნამდვილ ფაქტებზე დამყარებული, მიუდგომელი გამოვიდეს.

ჯერ ასეთი საზოგადოებრივი მსჯავრი დაედვას ქუჩების შევიწროების საკითხს და მერე კი თქვენი საკუთრების დღეს ასე გულსმოდგინე დამცველ ტეხნიკოსებსაც გავყვები მთავრობის სასამართლოში, რომლითაც ქალაქის უფროსი ტეხნიკოსი გოგინაევი ასე რიხით მემუქრება „სამშობლოში“ ჩემი წერილით გაწიწმატებული.

ეს თავგასული ტეხნიკოსი იმდენათ ნაწყენია ქალაქის საქმეების მისგან თუ სხვისგან შეუფერებელ ნამოქმედარის კრიტიკით, რომ მას ელმენტარული სამწერლო ეთიკაც აღარ მოგონებია და ჩემ მიერ ქართულ გაზეთში დასტამბულ წერილზე პასუხს იძლევა ქუთაისის საზოგადოების და პრესის მიერ „ჭორის ფურცლად“ მონათლულ რუსულ გაზეთში. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ისიდორე გვიცარიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ბაღდადი.** (ქუთ. მაზრა) აქ უკვე დაარსდა პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მრავალი ბავშვი მოაწყდა. წრეულს გახსნეს მხოლოდ პირველი და მეორე კლასი. ინსპეკტორად დანიშნულია გ-ნი გოგუაძე, მასწავლებლებად თორნიკე გეგეშიძე და მღვ მახეილ ჩიქვინიძე:

აქაურ მედუქნეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. დილიჟანში, რომელშიდაც მხოლოდ 10-12 კაცი დაეტევა, 20 22 კაცს ატევენ. შიგნით რომ გამოიჭედება დილიჟანი გარეთ კოფაზე, სახურავზე და კიბეზეა მოთავსებული ხალხი. მედუქნე უდგილობის გამო ფეხზე დგას ისიც ნახევარჯერ მთვრალი ამას წინეთ ამბოხი მაჭრით გაცდენილმა და თავბრუდასხმულმა მედუქნემ ანანოვის სახლთან დაღმართზე კინაღამ ხალხით სავსე დილიჟანი დაღუპა ხრამში, რომ იქვე კოფაზე მჯდომი უცებ არ მიშველებოდა და დროზე არ შეეჩერებია ცხენები ცხენების ტანჯვა და საცოდაობა ხომ წარმოუდგენელია. წარმოიდგინეთ დილიჟანი 20-22 კაცით და ხაბაკით დატვირთული და შიგ შებმული ომიანობის გამო ათასჯერ გადანარჩევი სუსტი ცხენები მეტად საწყალია, ყურადღება მიექცეს ამ საზიზღარ მოვლენებს.

აქაურმა აბლაკატებმა არძების და თხოვნების წერაში ნიხრი აუწიეს, რადგან ომის გამო ჯაბე შეუთხელდათ საწყალი მსაჯულმა გ. ბ. კაპანაძემ, რომელმაც როგორც პატიოსანმა მართლ მსაჯულმა პატივის ცემა დაიმსახურა ყურადღება მიაქციოს აბლაკანტების უკანონო საქციელს და მოქმედებას.

თუმცა უმაგალითო ომმა ყველაფერს დააჩინა დაღი, მაგრამ აქაურ სამიკიტნოებში და განსაკუთრებით ზედა სამიკიტნოებში ძველებურათ გაჩაღებულია ღვინობა ქეიფი და არღნების ტრიალი.

—ძე.

## რუსეთი.

„უტრო როს“ სწერს: მინისტრთა დადგენილება 50 გუბერნიაში პოლიციის მოხელეთა მდგომარეობის მატერიალურად გაუმჯობესობა, უმაღლესათ დამტკიცდა.

ამავე გაზეთის სიტყვით საქალაქო დებულებათა რეფორმის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში სხდომები დაწყებულა. ბეჭვდითი სიტყვის წარმომადგენელნი სხდომაზე არ იყვნენ დაშვებული. რეფორმის პროექტი სხდომაზე ძრიელ კრიტიკის ქვეშ მოამწყვდიეს. ამბობენ, რომ მას ხელმეორე შესწორება სჭირიაო მხოლოდ შესწორებული შეიძლება სახელმწიფო დუმაში შეიტანონო.

სახელმწიფო დუმის წევრებმა ბევრჯერ მოინდომეს თურმე ამ კანონ-პროექტის გაცნობა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება არ დართო.

იგივე გაზეთი გადმოგვცემს, რომ ვალინის გუბერნატორს მომრიგებელ შუამავალთა შორის განკარგულება მოუხდენია, რომ მათ გლეხთა ყრილობაზე აუხსნან მცხოვრებთ, რომ ხორბლის დამალვა ფასის აწევის მიზნით სამშობლოს სიყვარულის წინააღმდეგია და თვით უნდა ეცადონ, რომ თუ ვინმე დამალავს ხორბალს, ზომები მიიღონ და მთავრობას შეატყობინონ.

ეკატერინოსლავიდან „უტრო როს“ სწერენ: მუშათა-ამომრჩეველთა კრებამ, რომელსაც სამხედრო სამრეწველო კომიტეტში წევრი უნდა აერჩია, პოლიციის თანდასწრებით არ ისურვა წევრის არჩევა და კრება დაიხურა.

სათათბიროს თავჯდომარის ამხანაგებად აირჩიეს: გრაფი ბობრინსკი 196 ხმით 76 წინააღმდეგ, ნეკრასოვი 156 ხმით 76 წინააღმდეგ. თავჯდომარის მაგიერობას გასწევს ხოლმე გრაფი ბობრინსკი. მდივნის უფროსის ამხანაგად ერთხმად აირჩიეს რჟევსკი.

კადეტთა კრებას პეტროგრადში დიდძალი ხალხი დასწრებია. მილუკოვის საზოგადოება ძლიერი ტაშისკვრით შეხვედრია როდიჩევს მისთვის სიტყვა უთქვამს. მილუკოვი აღელვებულა.

## უცხოეთი.

„დზენიკ პოლსკი“ თავის აზრს გვიხსნის, რომ გერმანიამ და ავსტრიამ პოლონელთა მეფის დანიშვნა ძრიელაც რომ მოინდომონ, მაინც ვერ მოახერხებენ, რადგან რომის პაპა მას გვირგვინს არ უკურთხებსო. მისი აზრით იგი იმაში არ უნდა სცდებოდეს, რადგან პაპმა უკვე გამოთქვა თავის აზრი, რომ ზავის შეკვრამდი პოლონეთის ახალი მთავრობა ვატიკანისთვის უცნობი დარჩებაო.

შემდეგ ესევე პოლონური გაზეთი ამბობს, რომ პოლონეთის ტახტისთვის ბავარიის პრინც ლეოპოლდს ასახლებენ, რომელიც სარწმუნოებით კათოლიკეა და ძრიელ ძნელია, რომ მან პაპის სურვილის წინააღმდეგ ტახტი მიიღოსო. კიდეც რომ ამგვარი რამე მოხდეს, არც პოლონეთში და არც მის გარეშე არ გამოიძებნება იმისთანა ეპისკოპოზი, რომელმაც პაპის ბძანების გარეთ მეფის დაგვირგვინება იკისროსო.

„რუს. ვედომ.“ აწერილია სანოვაგის დიდი სიძვირე ინგლისში. სიძვირისგან უფრო შეწუხებულნი არიან, რასაკვირველია, ღარიბნი და ხელ-მოკლენი. ჯერ კიდევ შარშან თებერვალში მუშათა პარტიამ საგანგებო კონფერენცია მოაწყო სიძვირესთან ბრძოლისთვის, კონფერენციამ გადაწყვიტა მთავრობის ხარჯზე მთელი ინგლისის ხორბალი შეეყიდა; არგენტინიდან და კანადიდან ფქვილი შემოეტანა, მაგრამ ამ ზომებს მთავრობა არ დაეთანხმა; მას ეს ზომები გადაჭარბებულად ეჩვენა.

მის შემდეგ წელიწად ნახევარი გავიდა; ფასებმა სულ იმატა, ხალხი შეწუხდა. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა კომისია დანიშნა კომისიამ ურჩია მთავრობას, რომ ქალაქს სანოვაგის გასასყიდავი დუქნები თითონ მოეწყო, ხორცის ჭამა შეესუსტებია, საქონლის შემოტანის ჯარიმა დაეკლო და აეკრძალათ ინგლისში იმ საქონლის [illegible] დანიშნულება ფუფუნებაა [illegible] ცილებელი საჭიროება.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“




რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. | |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს 18 | „ |

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ კპილაძის შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

**ავათმყოფნი სუსუნატით**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაკტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

**სუსუნატი**

(გ ო ნ ო რ ე ა). № 765

თუ თქვენ იტანჯებით სუსუნატით, იმედს ნუ დაკარგავთ!

არის საშუალება **აკოფიანცის კაპსული „ა“**

რომლითაც ყველას შეუძლია განიკურნოს, სრულიად ცოტა ხნის გინმავლობაში. მოწონებულია ბ.ბ. ექიმებისა და სპეციალისტებისაგან, როგორც ახალი რადიკალური და გაუმჯობესებული საშუალება მაგარ და ქრონიკულ სუსუნატის წინააღმდეგ და აგრეთვე ამ სენისაგან გამოწვევულ ყოველ გვარ შედეგ ბის წინააღმდეგ, როგორც არის: შარდის მილის და ბუშტის ანთება, შარდის შეკავება, კვერცხების ანთება, ფეხების, ხელების, ზურგის ხერხემლის ტკივილები და ტეხა. აკოფიანცის **კაპსული „ა“** ნება დართულია პეტროგრადის სამედიცინო საბჭოსაგან № 765-თ. კაპსული „ა“ ცნობილია, როგორც უვნებელი ადამიანის ორგანიზმისათვის და იხმარება როგორც **მამაკაცების** ისე **დედაკაცების** სამკურნალოთ.

აკოფიანცის „ა“.

კაპსული „ა“ ს ხმარების დროს არ არის საჭირო არავითარი შეშხაპუნება, დაწვა, გამორეცხვა და მილას გაფართოება, აგრეთვე არც კერძო დახმარებაა საჭირო, მხოლოდ საჭიროა კაპსულების ყლაპვა, ასე, რომ ყველას შეუძლია იექიმოს ყოველგვარ პირობებში და მუშაობის დროსაც. აქიმობის დროს არ არის საჭირო რომელიმე საჭმელის დათმობა, მხოლოდ თავი შეიკავეთ მაგარი სასმელებისა და ყოველგვარი ეროტიზმისაგან.

**ჩვენი გარანტია** ტყუილა ნუ ხარჯავთ ფულს, ვინაიდგან თქვენ რამოდენიმე კოლოფის მიღების შემდეგ შეგიძლიათ მორჩეთ. გთხოვთ არ აურიოთ სხვა წამლებში. ყიდვა შეიძლება ყოველ დროს. აფთიაქებსა და აფთიაქის საწყობებს ეძლევათ საგრძნობი „სკიდკა“.

**წინასწარ 3 მანეთის მიღებისთანავე** გამოგეგზავნებათ ფასდადებულ ამანათით. წამლობის სრული კურსი 5—8 კოლოფამდე.

**ფასი:** 1 კოლ. (60 კაპ.) 3 მან. 50 კ. ნახევარი კოლ. (30 კაპ.) 2 მ. 25 კ. ერთი კოლოფის გადაგზავნა 40 კ. ვინც 4 კოლოფზე მეტს გამოიწერს გადაგზავნის ფასი არ გადახდება.

დაკვეთა და წერილების გაგზავნა შეიძლება კავკასიაში მხოლოდ ერთ წარმომადგენელთან **ე. მ. აკოფოვთან**, თბილისი, კრასნოგორის ქუჩა № 3, განყოფილება ბ ქოში. ადგილობრივ ავადმყოფთათვის—კრასნოვოდსკის ქუჩა № 52 არ. ავ. მაზიან. ქალაქ გარეშე დამკვეთლებს ვთხოვთ მიმართოს უმთავრეს საწყობში: ტფილისი, კრასნოგორის ქუჩა, № 3 **ე. მ. აკოფოვს.**